

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 8

ქ.თბილისი

06.06.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი დოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

ქეთევან ფანჩულიძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

სალომე ფრულიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის სკოლის დირექტორი - ანდრე ბეტცი;

შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორი - ბილალ თექინი, დირექტორის მოადგილე - ნინო მირიანაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - მეჰმეთ ფალა, დამფუძნებელი - რესულ დიქმენი;
შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის დირექტორი - ნინო მურვანიძე, დირექტორის მოადგილე - შალვა ბერიძე;
შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორი - რევაზ ძამამია, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დირექტორი - ლავრენტი ჭუმბურიძე;
ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენელი ლალი რამინაშვილი;
შპს - „ორიენტირის“ დირექტორი ანზორ მაქარაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ფატმან ციმაკურიძე, სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელი - სოფიო მაქარაშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ ვეფხვაძე;
ლიანა კობესაშვილი;
ციური დურული;
ეკატერინე ბალიშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
პაატა ჩორგოლაშვილი;
მარინა გედევანიშვილი;
თეა შაყულაშვილი;
ელენე გვენცაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19⁵⁰ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას, არყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრს - ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - „ორიენტირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისისაგან შემოსულია შუამდგომლობა, გადაიდოს დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა და კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად. შპს - ქართული სასწავლებელი - თბილისისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს მომავალი სხდომისათვის და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - „ორიენტირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სხდომას ესწრებოდა თუ არა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის უფლებამოსილი წარმომადგენელი. სხდომას ესწრებოდა სკოლის დირექტორი - ანდრე ბეტცი.

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის თვითშეფასების კითხვარს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ანა მაისურაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 რამდენადაც სკოლაში მოქმედებს თიურინგენის სასწავლო გეგმა, დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

1.1.1 დაწყებითი სკოლა მოიცავს პირველ-მეოთხე, ხოლო გიმნაზია - მეხუთე-მეთორმეტე კლასებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კი სრული ზოგადი განათლება სამსაფეხურიანია. დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ექვს წელს, საბაზო და საშუალო სამ-სამ წელს. რადგანაც დაწესებულებაში არსებული საფეხურები არ ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურებს, შეუძლებელია სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენა საფეხურების მიხედვით. თუმცა, მეთორმეტე კლასის სწავლის შედეგები სრულიად თავსებადია სრულ ზოგადი განათლების სწავლის შედეგებთან.

1.1.2 პირველ კლასში მიიღებიან ბავშვები, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლისათვის სულ მცირე 6 წლის არიან, რაც აგრეთვე განსხვავებულ რეჟიმს ადგენს საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით, რომელიც სკოლაში სწავლის დაწყების ასაკად განსაზღვრავს 5 წელს.

1.1.3 სკოლის მიერ შეთავაზებული საათობრივი ბადე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ ბადესთან შეუსაბამოა, კერძოდ, უმნიშვნელო განსხვავებაა შეთავაზებულ საგნებს შორის. მათ შორის, ქიმია ისწავლება მე-8 და არა მე-9 კლასიდან, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული. ბიოლოგია ისწავლება მე-5 და არა მე-7 კლასიდან; საქართველოსა და მსოფლიო ისტორია მე-11 კლასიდან ისწავლება, მაშინ როდესაც არაქართულენოვანი სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის სწავლება მე-8 კლასიდან არის სავალდებულო. ინფორმაციული ტექნოლოგიები 1-ლი-მე-5 კლასების ნაცვლად ისწავლება მე-11-მე-12 კლასებში. სკოლაში არ ისწავლება სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, თუმცა მისი სწავლება

გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. განსხვავებაა საათების ჯამურ რაოდენობას შორისაც - მესამე კლასში არის 31 საათი ნაცვლად 27-ისა. სკოლაში სწავლება არ ხორციელდება გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

თვითშეფასების კითხვარში მითითებული მონაცემების მიხედვით, დაწესებულების სარგებლობაში ერთ მისამართზე არსებული ფართის საერთო რაოდენობაა 368,47 კვ.მ. ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა აღნიშნული მონაცემები და გაირკვა, რომ სკოლის მიერ კითხვარში მითითებულ საერთო ფართში არ არის გათვალისწინებული სამეურნეო ფართი - 35, 10 კვ.მ., რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დამხმარე მიზნებისათვის, შესაბამისად, საერთო ფართი შეადგენს 403,57 კვ.მ.-ს.

ვიზუალური დათვალიერებითა და ტექნიკური ნახაზით გაირკვა, რომ აღნიშნული ფართიდან (403,57 კვ.მ.) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ დაკავებულია 269,47 კვ.მ., დანარჩენი 134 კვ.მ. გამოყენებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისა და სკოლის მოსამზადებელი ჯგუფისთვის (თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი ასევე ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობებს). აღნიშნული საერთო ფართიდან (269, 47 კვ.მ.) ორ ოთახში (საერთო მოცულობით 51,73 კვ.მ.) განლაგებულია სასადილო ოთახი და სამზარეულო, რომელიც არის როგორც სკოლის, ისე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სარგებლობაში. 2.2 სკოლა აღჭურვილია იმ ინვენტარითა და ბიბლიოთეკის კატალოგით, რაც სჭირდება დაწყებითი საფეხურის სკოლას, რადგანაც აქვთ მხოლოდ პირველი კლასი და ყოველ წელს ემატება თითო კლასი.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ ანა მაისურაძეს ჰკითხა, ეტყოდა თუ არა დაწესებულება იქ სწავლის გაგრძელების მსურველ უფროსკლასელებს მიღებაზე უარს. ანა მაისურაძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში დაწესებულება მოსწავლეს მიღებაზე უარს ეტყოდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ეთანხმებოდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ რომ თვითშეფასების კითხვარში (მატერიალური რესურსის ნაწილში) მითითებული იყო 368,47 კვ.მ., ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობისათვის დაწესებულება რეალურად იყენებდა მხოლოდ 269,47 კვ.მ. -ს. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ამგვარ შეფასებას.

საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ მოცემული შემთხვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ იდენტური იყო. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ - ავტორიზაციის მინიჭებისას სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებაზე თანხმობის შესახებ. იოსებ სალუქვაძემ იკითხა, ხომ არ არსებობდა სამინისტროს თანხმობა ამ შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისის 12-1-19/6581 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სამინისტრო აცხადებდა თანხმობას, რომ ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს განეხორციელებინა საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესით.

ანა მაისურაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ პირველი თავის შესაბამისად, „უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაციების მონაწილეობით დაფუძნებულ ან საქმიანობის განმახორციელებელ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესი/წესები შეიძლება მოქმედებდეს, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. გადაწყვეტილება მიიღება, თუ ეს მიზანშეწონილია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებიდან გამომდინარე“. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების დამფუძნებელთაგან ან მასში საქმიანობის განმახორციელებელთაგან რომელიმე იყო თუ არა „უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაცია“. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დამფუძნებლები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები, მათ შორის ბარბარა ელიზაბეტ ვატენდორფი - გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელი საქართველოში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა აგრეთვე განზრახულობათა მემორანდუმი (გაფორმებული გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის), თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვებით მიმართა ცენტრს: ა) მემორანდუმში დაფიქსირებული ფრაზა „სკოლამ უნდა მოიცვას გერმანული საგანმანათლებლო სისტემის სკოლის ფორმები“, აძლევს თუ არა ავტორიზაციის მამდიებელ დაწესებულებას უფლებას, არ გაითვალისწინოს საქართველოს კანონის მოთხოვნა სამსაფეხურიანი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შესახებ; ბ) რამდენადაც დაწესებულების დამფუძნებელთაგან არც ერთი არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობა/საერთაშორისო ორგანიზაცია/უცხო ქვეყნის ორგანიზაცია, შეიძლება თუ არა ამ მემორანდუმის საფუძველზე ჩაითვალოს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას - ანუ მემორანდუმში ანაცვლებს თუ არა ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ ფრაზას „დიპლომატიური წარმომადგენლობა საქმიანობას ახორციელებს“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება ამ მიზნებისთვის ძალიან ფართოა და ის მხარე, რომელიც მემორანდუმს აწერს ხელს, ნამდვილად არის ის სტრუქტურა, რომელიც ზემოაღნიშნული ნორმა შეიძლება გავრცელდეს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების მიზანი სწორედ ასეთი ტიპის სკოლების მოტივირება იყო.

საბჭოს წევრმა ნინო მოწენიძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, როგორი ფორმით ხდებოდა გერმანიის საელჩოს მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობა, რამდენადაც საქმიანობის განხორციელება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, კერძოდ, ფინანსური ფორმით, რესურსების, წიგნების მიწოდებით, პროგრამის შედგენაში დახმარებით, პროგრამების გაზიარებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განზრახულობათა მემორანდუმს ხელს აწერს საელჩოს წარმომადგენელი. სკოლის შექმნაში საელჩოს ინტერესი ძალიან დიდია. გამგეობის წევრების შეკრებას მუდმივად ესწრება საელჩოს წარმომადგენელი, გერმანიის მხარემ დააფინანსა სკოლა და მუდმივად ხდება მისი საქმიანობის დახვეწის გზების განხილვა და დახმარება გერმანიის საელჩოს მხრიდან.

სკოლა არის ერთიანი ქსელის ნაწილი, მისი მსგავსი გერმანული სკოლების რაოდენობა გერმანიის გარეთ არის 140. ეს არის ძალიან დიდი გაერთიანება, რომლის წევრი 2010 წლის სექტემბრიდან გახდა ავტორიზაციის მამდიებელი.

საბჭოს წევრის ლალი ლოღელიანის განმარტებით, კავშირი ახორციელებს უამრავ პროექტს საქართველოში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, მისი, როგორც საქმიანობის განმახორციელებლის, როლი, არ შეიძლება, არ იყოს გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს საერთაშორისოდ აღიარებულია. წიგნებიც სწორედ ამ პროგრამის მიხედვით არის შერჩეული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 1

კახი ყურაშვილმა, რომელმაც გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ მისცა ხმა, განმარტა, რომ სკოლა მოიცავს არა საქართველოს, არამედ გერმანული საგანმანათლებლო სისტემის საფეხურებს, რისი დაშვებაც შესაძლებელია, თუ საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირი. ვინაიდან, ავტორიზაციის მაძიებელი არ წარმოადგენს ასეთ პირს, მიიჩნია რომ სკოლაში რეალიზებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამსაფეხუროვანი სწავლების ფორმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე -12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 67-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორმა ბილალ თექინმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

2. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გაკვეთილების ხანგრძლივობაა 45 წუთი. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი გრძელდება 35 წუთს. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში კი გაკვეთილების ხანგრძლივობა არის 40 წუთი.

1.2 დაწესებულების მიერ შედგენილი საათობრივი ბადით არაა გათვალისწინებული სამოქალაქო განათლების და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლება.

1.3 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების სისტემა მოიცავს სამ კომპონენტს: საშინაო დავალებას, საკლასო დავალებასა და შემაჯამებელ დავალებას, რომლებიც პროცენტულად თანაბრად არიან გადანაწილებულნი. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა კი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს - მოსწავლის დისციპლინას (10%), საშინაო დავალებას (40%) და კლასში ჩართულობა და აქტიურობას (50%).

მომხსენებლის განმარტებით, 2011 წლის 6 ივნისს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისის №12-1-20/6580 თანხმობის წერილი, რომლის საფუძველზეც დაწესებულებას ენიჭება უფლებამოსილება, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ პირველი თავის შესაბამისად, „უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის ორგანიზაციების მონაწილეობით დაფუძნებულ ან საქმიანობის განმახორციელებელ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესი/წესები შეიძლება მოქმედებდეს, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. გადაწყვეტილება მიიღება, თუ ეს მიზანშეწონილია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებიდან გამომდინარე.“

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დამფუძნებელი ხომ არ იყო ჩამოთვლილი სუბიექტებიდან ერთ-ერთი, ან განათლების სფეროში ხომ არ არსებობდა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო, ან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება, როგორც ქართული ეროვნული სამართლის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უფრო მაღალი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე ეროვნულ კანონმდებლობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების დირექტორის, ბილალ თექინის, მიერ წარმოდგენილი იქნა 1992 წელს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროებს შორის დადებული მთავრობათაშორისო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა განათლების სფეროში ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებელი აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების ნახვა. საბჭოს სხდომაზე ვერ მოხერხდა დოკუმენტის წარმოდგენა.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემების თანახმად, შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დამფუძნებელია დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, რომელიც, საბჭოს თავმჯდომარის აზრით, ვერ ჩაითვლება ვერც ერთ იმ სუბიექტად, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგნები წელს ისწავლება პირველად, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ დაწესებულებამ შემდეგი სასწავლო სემესტრიდან განახორციელოს აღნიშნული დისციპლინების სწავლება. რაც შეეხება შენიშვნას, რომელიც ეხებოდა გაკვეთილების ხანგრძლივობას, დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ 40 წუთიანი გაკვეთილების ჩატარება კანონმდებლობით არ არის აკრძალული. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის შეფასების სისტემა საბოლოო ჯამში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დავით კახნიაშვილს, ავტორიზაციის საბჭოს ხომ არ უნდა ემსჯელა, იყო თუ არა საერთოდ საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილის შეუსაბამობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ კანონთან შეუსაბამობა არ იყო, ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან იყო მცირე განსხვავებულობა, რომელიც ასევე იქნება ყველა კერძო სკოლაში. საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა ბატონ დ. კახნიაშვილს და განმარტა თავისი პოზიცია იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში შეუსაბამობაა სკოლის პროგრამასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის. დავით კახნიაშვილმა დაამატა, რომ კერძო სკოლებს უფლება აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა წარმართონ ინდივიდუალურად არსებული რესურსებისა და სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე.

დავით კახნიაშვილის განმარტებით, ეროვნულ სასწავლო გეგმისაგან განსხვავებულობა იქნება, მაგალითად, როდესაც არ ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი

მირითადი საგანი. სამოქალაქო თავდაცვა არის ნახევარსემესტრიანი საპილოტე საგანი და შესაძლებელია, რომ ყველა კერძო სკოლას არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეტანა აღნიშნული დისციპლინა სკოლის სასწავლო გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს - გეგმავდნენ თუ არა, სამოქალაქო განათლების და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების შემოტანას სკოლაში. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ ნინო მირიანაშვილმა აღნიშნა, რომ სექტემბრიდან იგეგმებოდა აღნიშნული საგნის სწავლება და შესაბამისად მოხდებოდა მისი ჩასმა სასკოლო სასწავლო გეგმაშიც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი იყო ცენტრის პოზიცია, რეალურად გვამღევს თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები შეუსაბამობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები ექსპერტთა დასკვნის თანახმად ცალსახად ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ გვამღევს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობდნენ ავტორიზაციის საბჭოს წევრები, კერძოდ, მიიჩნევა თუ არა მცირედი შენიშვნების არსებობა მთლიანად ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობად.

იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, თუ რა პრინციპებით იხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, როდესაც მან გასცა თანხმობის წერილი, რომლის საფუძველზეც, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლას მიენიჭება უფლებამოსილება, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელებინა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესებით. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით. კ. ყურაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას შეუძია ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული პროგრამა განახორციელოს, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირი. ვინაიდან, ავტორიზაციის მამიებელი არ წარმოადგენს ასეთ პირს, მიიჩნია რომ სკოლაში რეალიზებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმა. რუსუდან ტყეშელაშვილის მოსაზრებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებებს ძალიან კარგი იმიჯი და არაჩვეულებრივი შედეგები აქვთ.

ავტორიზაციის საბჭომ ჩათვალა, რომ დაწესებულების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე -12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 938-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის დირექტორმა ნინო მურვანიძემ დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

3. შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

1.1 სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია მცირე ზომის სპორტული დარბაზი და გასახდელები. დარბაზი აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარით, ტრენაჟორით და სხვა სავარჯიშო ინვენტარით, თუმცა სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ამხანაგობა „მაისტან“, რომლის მიხედვით, ამხანაგობა მის კუთვნილ სპორტულ მოედანს (რომელიც სკოლის უკან მდებარეობს), უსასყიდლოდ უთმობს სკოლას სპორტის გაკვეთილებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიზნით.

1.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ერთი საკლასო ოთახი, აღნიშნულ კლასში მოსახერხებელი პანდუსით მარტივად არის შესაძლებელი შესვლა. ამჟამად სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც განსაკუთრებულ ადაპტაციას საჭიროებს, არ ჰყავს, თუმცა ჰყავს ერთი მოსწავლე, რომელსაც თანდაყოლილი ჰემოპარეზის გამო ესაჭიროება სპეციალური სპორტული დატვირთვა, მისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა სპორტში, რომელიც გათვლილია მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებზე.

1.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების ერთწლიანი და სტრატეგიული (გრძელვადიანი) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე არ არის მითითებული, რომ ის არის ექვსწლიანი, თუმცა შინაარსი აბსოლუტურად შეესაბამება გრძელვადიან განვითარების გეგმას. სკოლის სტრატეგიულ (გრძელვადიან) გეგმაში პრიორიტეტულია: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; საგნობრივი ლაბორატორიებისა და უახლესი ტექნოლოგიების შეძენის გზით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და მათი სერტიფიცირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა; პარტნიორული პროგრამების განხორციელება, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ, სკოლისათვის ახალი ფართის შეძენა და ა.შ.

იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, რატომ არის გამოყენებული სკოლის სახელმწოდებაში ტერმინი „ელიტარული“ და ეს ხომ არ გულისხმობს იმას, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფები გამორიცხული იქნებიან სასწავლო პროცესიდან.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული სახელწოდება უკავშირდება სკოლის მიერ თავდაპირველად საქმიანობის დაწყებას, რომლის დროსაც, სკოლაში მიმდინარეობდა უცხო ენების გაძლიერებული სწავლება.

კახი ყურაშვილის თქმით, სახელის არჩევა დაწესებულების უფლებას და მის მარკეტინგულ გათვლას უკავშირდება.

დავით კახიაშვილმა გამოთქვა დადებითი შეფასება სკოლასთან მიმართებით. აღნიშნა, რომ იცნობს ამ სკოლას ძალიან კარგად, რადგანაც ეს სკოლა არის ასოციაციის წევრი. სკოლა ცოდნის ხარისხით არის გამორჩეული, საქართველოში ჩვენს სინამდვილეში ერთ-ერთი საუკეთესო აკადემიური მოსწრებით ხასიათდება და ამიტომაც ჰქვია ამგვარად. უკეთესი იქნებოდა, რომ მინიშნება ჰქონდეთ, რომ თანამედროვეა, თუმცა ყველა მონაცემს აკმაყოფილებენ, განსაკუთრებით გამოირჩევა მასწავლებელთა კოლექტივი. სკოლის დირექტორი არის პროფესორი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ძალიან მაღალი დონის განათლებას აძლევდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მას არანაირი შენიშვნა არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე -12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გორდას ქალაქ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 266-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ძამაძიამ დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

4. შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციებსა და ბუღალტრის პროფესიულ სტანდარტს შორის არის მცირედი შეუსაბამობა. კერძოდ:

– მესამე საფეხურის ბუღალტრის პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა III საფეხურის ბუღალტერი/ბუღალტერ-მოანგარიშე. ბუღალტრის პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე“. ანალოგიური მდგომარეობაა მეოთხე საფეხურის ბუღალტრი/ბუღალტერ-ტექნიკოსის და მეხუთე საფეხურის ბუღალტრის/ბუღალტრის საგანმანათლებლო პროგრამებში.

საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ხარვეზს არ წარმოადგენდა.

1.2 დაწესებულების პროგრამები, პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობისა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები დამტკიცებულია ინსტიტუტის დირექტორის მიერ, თუმცა დოკუმენტებიდან არ დგინდება მათი დამტკიცების თარიღი.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ძამაძიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების შექმნის მიზანი იყო ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება. რამდენადაც ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საქართველო საერთაშორისო სტანდარტებზე გადავიდა, საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (დაწესებულების დამფუძნებელმა) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახალი სტანდარტის შემუშავების ნაცვლად გამოეყენებინა ACCA პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ისწავლება მსოფლიოს 122 ქვეყანაში

და ჰყავს 360 00 სტუდენტი. მათ შორის ეროვნულ ენაზე ამ პროგრამას მხოლოდ საქართველო ახორციელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, კონკრეტულად ესაუბრა დამტკიცების თარიღთან დაკავშირებულ პრობლემაზე.

რევაზ ძაძამიამ განმარტა, რომ ყველა დოკუმენტი არის ერთი ბრძანებით დამტკიცებული. ბრძანების არარსებობასთან დაკავშირებით ექსპერტებს არ ჰქონიათ სიტყვიერი შენიშვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტებს ბრძანებას ადგილზე გააცნობდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო ბრძანების ასლი.

ექსპერტ მარინა გედევანიშვილის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის ბრძანება არ ყოფილა წარმოდგენილი, არ არსებობდა აგრეთვე ბრძანებების წიგნი. წარმოდგენილი ბრძანებები მოთავსებული იყო ერთ ფაილში, ერთად აკინძული. წარმოდგენილ დოკუმენტებზე მითითებული იყო - ვამტკიცებ და ხელმოწერილი იყო დაწესებულების დირექტორის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ ძაძამიას ჰკითხა, ბრძანებების აღრიცხვიანობა რა ფორმით ჰქონდათ მოწესრიგებული.

რევაზ ძაძამიას განმარტებით, დაწესებულებას არ აქვს არც ბრძანების წიგნი, არც ბრძანებათა რეესტრი, თუმცა ყველა ბრძანება ელექტრონულად არის შენახული და ნომერი ენიჭება. ბრძანებები მოთავსებულია ერთ ბაინდერში და შეკრულია ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღრიცხვიანობის სანდოობა ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც ბრძანებების მხოლოდ მექანიკური აკინძვა არ არის საკმარისი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დირექტორის ბრძანებები თუ ქვეყნდებოდა დაწესებულების ვებგვერდზე.

რევაზ ძაძამიან განმარტა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე ბრძანებები არ ქვეყნდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო შინაარსის ბრძანებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა აუდიტორიასა და აგრეთვე დერეფანში არის ბრძანებების დაფა, სადაც გამოიკვრება ბრძანებები. დაწესებულების ვებგვერდზე მართალია ბრძანებები არ თავსდება, თუმცა იდება საგანმანათლებლო შინაარსის ინფორმაცია.

1.3 ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს არ უზრუნველყოფდა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობით. იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც პროფილით არ არიან დასაქმებულნი, დაწესებულება გეგმავს დასაქმების ადგილზე პრაქტიკის ორგანიზებას. კერძოდ, სამომავლოდ ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს ასეთ დაწესებულებებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის თანახმადაც სტუდენტს კვირის განმავლობაში რამდენიმე საათით მიამაგრებენ ბუღალტერს, რომელიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში მას ჩაუტარებს დამატებით მეცადინეობას. ვიზიტის მომენტისათვის ინსტიტუტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება (ან თუნდაც ხელშეკრულების პროექტი). იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლის პარალელურად არ მუშაობენ, ინსტიტუტი პრაქტიკის გავლას გეგმავს ადგილზე, მოდელირებული საბუღალტრო კურსების გამოყენებით. ამ მიზნით, სამომავლოდ იგეგმება ორი აუდიტორიის მოწყობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ძაძამიამ აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარში ჩაწერილი იყო სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. დღეის მდგომარეობით მათ პრაქტიკა არ აქვთ, რამდენადაც მისი საჭიროება არ არსებობს. თუმცა ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, როდესაც სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის აუცილებლობა დადგება, ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება მაშინ მოხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტი ამოწმებს ვიზიტის მომენტისათვის არსებულ მდგომარეობას და არა დაწესებულების სამომავლო გეგმებს.

1.4 პროგრამებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა), რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, მათ შორის, ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებს. თუმცა არც სასწავლო გეგმებში და არც სილაბუსებში არ არის მითითებული, თუ რამდენია საათების საერთო რაოდენობაში ლექციისა და პრაქტიკული მეცადინეობების წილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, რამდენად არის სავალდებულო აქტიური საათების გაშლა.

ცენტრის განმარტებით ლექციისა და პრაქტიკული მეცადინეობების გამიჯვნა სავალდებულო არ არის თუმცა სასურველია (რეკომენდაციების საფუძველზე).

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა ხარვეზს.

1.5 ინსტიტუტის მიერ შემუშავებული „სტუდენტების ცოდნის შეფასების წესებიდან“ ჩანს, რომ სტუდენტის მიერ ცალკეულ კომპონენტში მიღებულ შეფასებათა მაქსიმალური ჯამი (დასკვნითი შეფასება) შეადგენს არა 100–ს, არამედ 110 ქულას (ორი შუალედური ტესტირების მაქსიმალური შეფასებაა 5–5 ქულა, სემესტრული გამოცდისა – მაქსიმუმ 100 ქულა).

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ძაძაძიამ აღნიშნა, რომ დაშვებულია შეცდომა, რადგანაც კონსულტაციის მიღების მომენტში ცენტრიდან იყო მითითება, რომ საბოლოო ტესტირებისათვის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 100 ქულა.

1.6 ბუღალტრის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას ჰყავს სტუდენტთა ორი ძირითადი კატეგორია – ზოგადი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები და ზოგადისშემდგომი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები. მათი სასწავლო გეგმები განსხვავებულია. კერძოდ, ზოგადი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის იმ 4 ძირითადი საგნის (წიგნის) პარალელურად, რომლებსაც ასევე სწავლობენ ზოგადისშემდგომი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, დამატებით გათვალისწინებულია ისეთი საბაზისო საგნების სწავლება, როგორებიცაა: ეკონომიკის საფუძვლები, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა. ზემოაღნიშნული 4 ძირითადი, იდენტური სახელწოდების საგნის კრედიტების რაოდენობა განსხვავებულია სასწავლო გეგმების მიხედვით, თუმცა იდენტურია მათი სწავლის შედეგები და აქვთ საერთო სილაბუსები. კერძოდ, ზოგადი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო გეგმაში საგანი „ბუღალტერი ბიზნესში“ 6-კრედიტიანია, მაშინ, როცა ეს საგანი ზოგადისშემდგომი განათლების ბაზაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო გეგმაში 10-კრედიტიანია. თითო კრედიტია განსხვავება დანარჩენი სამი საგნის (მმართველობითი აღრიცხვა, ფინანსური აღრიცხვა, კორპორაციული და სავაჭრო სამართალი) კრედიტების რაოდენობაშიც. მიუხედავად მოცულობაში ასეთი განსხვავებისა, ორივე საფერხურზე აღნიშნულ საგნებს ასწავლიან ერთი და იმავე სილაბუსით და სწავლის შედეგები არის ერთნაირი.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დამფუძნებლის - პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დირექტორმა ლავრენტი ჭუმბურიძემ

აღნიშნა, რომ აღნიშნულის გამიჯვნას საფუძვლად უდევს საჭიროება, პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ პროგრამის დაძლევა.

1.7 IV საფეხურის ბუღალტრის (ბუღალტერ-ტექნიკოსი) საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს შედეგების რუკა, სადაც ზოგიერთი საგანი განსხვავებულია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისაგან. კერძოდ, 1) სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია „ფინანსური მართვა“, სწავლის შედეგების რუკაში – „ფინანსური მართვა და კონტროლი“; 2) სასწავლო გეგმაში საგნის სახელწოდებაა „აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა 1“, სწავლის შედეგების რუკაში – „აუდიტი და შიდა მიმოხილვა“. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი სილაბუსები, შესაბამისად, ვერ მოხერხდა მათი შინაარსობრივი შემოწმება.

1.8 V საფეხურის ბუღალტრის საგანმანათლებლო პროგრამაში არის მთელი რიგი შეუსაბამოებები, კერძოდ, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული საგნისა „პროფესიონალი ბუღალტერი“ ასწავლიან „საქმიანობის შედეგების მართვა“-ს, ნაცვლად „ფინანსური მენეჯმენტი“-სა ასწავლიან „ფინანსების სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებას“.

ექსპერტმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენლისაგან მოითხოვა განმარტება. სასწავლო ნაწილის კოორდინატორის განმარტებით, დაწესებულება სწავლებას ახორციელებს ნაფიკ ბუღალტერთა ასოციაციის ACCA-ის სერტიფიცირებული პროგრამით. ასოციაციასთან შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მიღებული აქვს სახელმძღვანელოების ბეჭდვის უფლება. შესაბამისად, როდესაც ცვლილება მოხდება აღნიშნულ პროგრამაში, დაწესებულება შეცვლის თავის პროგრამასაც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა გაწერილია იმ დროისათვის, როცა ACCA პროგრამებში მოხდება ჩანაცვლება იმ საგნებით, რაც სასწავლო გეგმაშია მითითებული. დღეისათვის კი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ნაცვლად ისწავლება აბსოლუტურად განსხვავებული საგნები.

1.9 დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი (III საფეხურზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ორი სილაბუსი, ნაცვლად შვიდისა, V საფეხურის პროგრამაზე სამი სილაბუსი ნაცვლად ხუთისა). რაც შეეხება წარმოდგენილ სილაბუსებს, არცერთ მათგანში არ არის მითითებული, თუ რომელ საფეხურზე ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი; ინფორმაცია მისი განმახორციელებლის შესახებ; სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში; დაშვების წინაპირობა; სწავლების მეთოდები; სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები; რაც შეეხება სალექციო თემატიკას, ზოგიერთი დეტალურად არ არის გაშლილი კვირების შესაბამისად.

ექსპერტმა მარინა გედევანიშვილმა დამატებით განმარტა, რომ სასწავლო კურსის შინაარსი ზოგიერთ სილაბუსში „სტრუქტურის შინაარსის“ სახითაა ჩამოყალიბებული, ზოგან „სასწავლო პროგრამის“ სახით, ზოგან კი პირდაპირ თემების ჩამონათვალის სახით. ზოგიერთ სილაბუსში წასაკითხი თემები გაწერილია სასწავლო პროგრამაშიც და სალექციო გეგმაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტის განმარტებასთან დაკავშირებით ჩათვალა, რომ აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტს, თვითშეფასების კითხვარში მითითებული, ქ. თბილისში, ვანის ქუჩა # 4ში, თავის საკუთრებაში არსებული 631 კვ.მ. ფართი (მატერიალურ-ტექნიკური ბაზით) 2009 წლის 10 ოქტომბრის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 10 ოქტომბრამდე მიქირავებული აქვს შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრისთვის“. მაძიებლის განმარტებით „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“ აღნიშნულ ფართს იყენებს დღის პირველ ნახევარში, 6 სთ-მდე, ხოლო თავად პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი - დღის მეორე ნახევარში. ფართით სარგებლობის აღნიშნული განრიგი მხოლოდ ზეპირი შეთანხმებით რეგულირდება. წერილობითი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი.

შენიშვნაში 12 აუდიტორიაა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ფართზე არსებული 12 აუდიტორიიდან 2 (საერთო ფართით 31 კვ.მ) შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტს 2011 წლის 15 იანვრით დათარიღებული ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად 2011 წლის 15 ივლისამდე მიქირავებული აქვს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისათვის“. 12 აუდიტორიიდან 5-ს არა აქვს ბუნებრივი განათების საშუალება და სინათლე მათში მხოლოდ კორიდორიდან შემოდის.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ დირექტორმა რევაზ მაძამიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესს იწყენებს 18:00 სთ-ზე და ამთავრებენ 21სთ-ზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაწესებულებაში მხოლოდ მხოლოდ სამი საათის განმავლობაში ხორციელდება.

ლავრენტი ჭუმბურიძის განმარტებით, 631 კვ.მ-დან შპს - ბუღალტერთა მომზადების ცენტრი იყენებს მხოლოდ 50 კვ. მს, 2აუდიტორიას . (მოგვიანებით ამ ორ აუდიტორიაზე ხელშეკრულება ცალკე დაიდო). შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრის“ მიერ 631კვ.მ-ზე ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანი იყო მხოლოდ ის რომ, როდესაც ამ უკანასკნელმა გაიარა ავტორიზაცია, სტანდარტი დაკმაყოფილებული ჰქონოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა ქირავნობის ხელშეკრულებებისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერების გადამოწმება.

საჯარო რეესტრის ამონაწერში ქირავნობის ობიექტად მითითებული იყო 631 კვ.მ. ფართი, დათარიღებული 2009 წლის 10 ოქტომბრის ქირავნობის ხელშეკრულებით. სხვა ხელშეკრულების არსებობაზე ამონაწერში მითითება არ ყოფილა, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემების სისწორისა და უტყუარობის პრეზუმცია.

2.2 დაწესებულების მიერ ვიზიტის მომენტისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებები ინტერნეტმომსახურებისა და ვებსივრცის ფლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ, რამდენადაც დაწესებულებას ინტერნეტი და ვებგვერდი აქვს, აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემა არ არის, რამდენადაც, ხელშეკრულება შეიძლება ზეპირი ფორმით იყოს დადებული.

2.3 დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებგვერდი - www.accatraining.ge, რომელზეც არ არის მითითებული დაწესებულების სტრუქტურა, მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრის III, IV და V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და მონაცემები პროგრამის განმახორციელებელთა შესახებ.

რევაზ ძაძამიამ განმარტა, რომ, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია ჯერ არ მიუღია, ვებგვერდზე აღნიშნულ ინფორმაციას ვერ განათავსებდა.

საბჭოს წევრის ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, დაწესებულებას ვებგვერდზე შესაძლებელია პროგრამების პროექტების განთავსება.

კახი ყურაშვილის განმარტებით, თუ დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება (რომლითაც პროგრამები დაამტკიცა), მაშინ შესაბამისი ინფორმაცია ვებგვერდზეც უნდა ჰქონოდა განთავსებული.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

შესვენების დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენელს, ლალი რამინაშვილს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

5. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - დავით მაკარიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილი სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2011 წლის 2 ივნისიდან დაწესებულების სახელწოდებაა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი - თავისუფალი სკოლა. საბჭომ საკითხის განხილვა დაწესებულების ახალი სახელით გააგრძელა.

დავით მაკარიძემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

საათობრივი ბადე მოიცავს I - VI კლასების გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, მაგრამ არ არის მითითებული, თუ ვინ ასწავლის ამ საგნებს, თუმცა აღნიშნული ასახულია მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

საბჭოს წევრებმა აღნიშნული შენიშვნა არ ჩათვალეს არსებითად.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 დაწესებულების ფართია 216 კვ.მ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად, მატერიალური რესურსის სტანდარტის ერთ-ერთ ინდიკატორის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფართი უნდა იყოს 250 კვ.მ. თუმცა მოცემულზე ნაკლები ფართის არსებობის შემთხვევაში, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის 50-ზე ნაკლები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ.

2.2 ბიბლიოთეკაში არის 1791 ეგზემპლარი, მათგან 11 - ქართულ ენაზე. დანარჩენი ინლისურენოვანია. თუმცა ისინი არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ კრიტერიუმებს. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი წიგნადი ფონდით ბიბლიოთეკის შევსება ჯერ არ მომხდარა, რამდენადაც არ დასრულებულა იმ სახელმძღვანელოების კანონით დადგენილი წესით დამტკიცება (გრიფირება), რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სწავლება მომდევნო სასწავლო წლიდან. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელსაც ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაევალება ბიბლიოთეკის შევსება შესაბამისი წიგნადი ფონდით.

ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი - თავისუფალი სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს I-VI კლასების სახელმძღვანელოების გრიფირება. სკოლა ამჟამად არ ფუნქციონირებს, ხოლო ის სახელმძღვანელოები, რომლითაც სკოლა გეგმავს სწავლებას ჯერ არ არის გრიფირებული. რამდენადაც სკოლას ეკრძალება არაგრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენება, ბიბლიოთეკაში არ არის შესაბამისი ეგზემპლარები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა იმუშავებს სამი კლასის რეჟიმში. პედაგოგების შესაბამისობა საათობრივ დატვირთვასთან მიმართებით გადანაწილება იმის მიხედვით, თუ რომელი სამი კლასი მოვა სკოლაში. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სკოლას წარმოდგენილი აქვს ექვსივე კლასის პროგრამა სრულად და ექვსივე კლასის საგნის პედაგოგებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, დაწესებულებას ჰქონდა თუ არა სილაბუსები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში.

ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი - თავისუფალი სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის კურიკულუმისათვის გამოყენებულ იქნა 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსი. მართალია, მასში სახელმძღვანელოები არ არის მითითებული, თუმცა პროგრამა შედგენილია ისე, რომ გრიფირების პროცესის დასრულების შემდეგ, კურიკულუმი მორგებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი - თავისუფალი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 1

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მისი აზრით მატერიალური რესურსი, მათ შორის სახელმძღვანელოების ფლობის საკითხი და ბიბლიოთეკის სათანადოდ აღჭურვა აღნიშნულ სასწავლებელში პრობლემურია და ის ვერ მისცემს ხმას ავტორიზაციის მინიჭებას.

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ -

საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 49-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ორიენტირის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „ორიენტირის“ დირექტორმა ანზორ მაჭარაშვილმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

6. შპს - „ორიენტირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ორიენტირის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - თათა ერქვანიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში:

1.1 სილაბუსების ნაწილში სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში მითითებულია ის დისციპლინები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ მოიაზრება და შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტს (საგნები მითითებულია სასკოლო დისციპლინების ჩამონათვალიდან). მაგ.: „კბილის ტექნიკოსის“ პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსში „შრომის ჰიგიენა“ - კურსზე დაშვების წინაპირობად მითითებულია საგნები: ანატომია, ფიზიოლოგია, ზოგადი ქიმია. ასევე, „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კურსის სილაბუსში „შრომის უსაფრთხოება და დაცვა“ - კურსზე დაშვების წინაპირობად მითითებულია საგნები: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და სხვ.

იოსებ სალუქვაძის თქმით, საგნის შესწავლის წინაპირობად არ უნდა იყოს მითითებული ის კურსი, რომელიც არ არის პროგრამით გათვალისწინებული, თუმცა, მისი აზრით, ეს არ იყო სერიოზული პრობლემა.

შპს „ორიენტირის“ დირექტორმა ანზორ მაჭარაშვილმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ფატმან ციმაკურიძემ განმარტეს, რომ სილაბუსებში საუბარი იყო არა დაშვების წინაპირობებზე, არამედ იმ ზოგად ცოდნაზე, რაც სჭირდება პროფესიულ სტიდენტს კონკრეტული დისციპლინის შესწავლისათვის. მათივე თქმით, აღნიშნული შენიშვნა უკვე გამოსწორებული იყო.

1.2 ზოგიერთ სილაბუსში სწავლების მეთოდები და სასწავლო თვალსაჩინოებები ტერმინოლოგიურად აღრეულია: მაგ., „კბილის ტექნიკოსის“ პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსში „შესავალი პროთეზირებაში“ - სწავლების მეთოდებში მითითებულია: მულაჟები, ატლასი, პლაკატები, თავის ქალა. ანალოგიური ვითარებაა იმავე პროგრამის სასწავლო კურსის „სასწავლო პრაქტიკა მასალათმცოდნეობაში“ სილაბუსში და სხვ.

საბჭოს წევრებმა აღნიშნული შენიშვნა არსებითად არ მიიჩნიეს.

1.3 დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პრაქტიკოსი ექთნის“ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პროფესიული სტანდარტი ჯერ-ჯერობით არ არის დამტკიცებული და არ შედის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში. მაგრამ აღნიშნული პროგრამა შესაბამისობაშია „პრაქტიკოსი ექთნის“ მეხუთე საფეხურის პროფესიული სტანდარტის პროექტის პარამეტრებთან.

ნანა ჭილაძემ ცენტრის სახელით წარადგინა თანხმობა შპს „ორიენტირის“ მიერ აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

2. მატერიალური რესურსების ნაწილში:

2.1 შპს - „ორიენტირის“ მიერ შპს „აფთიაქი №34“ და შპს „ქ. თბილისის №23 პოლიკლინიკასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლებიც ადგენენ შპს „ორიენტირის“ პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას, სრულად არ არის მითითებული ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა, კერძოდ, მოცემულია მხოლოდ წლები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნა არ არის არსებითი, თავისუფალდ შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმება წლების მითითებით და არა თვეებით. აღნიშნული მოსაზრება საბჭოს წევრებმაც გაიზიარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ორიენტირისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ორიენტირის“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 652-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კახი ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი

საბჭოს მდივნის

მოვალეობის შემსრულებელი